დანართი N1

,,დამტკიცებულია“ სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“

დირექტორის 08/04/2020 წ. N02-03/10 ბრძანებით

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლ(ებ)ის ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წესები

I. ინტერნეტი/სოციალური მედია უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს ინფორმაციის მიღებისა და გავრცელებისათვის, ასევე საზოგადოებასთან, აუდიტორიასთან უკუკავშირების დასამყარებლად და სხვა აქტივობებისთვის. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს (შემდგომში - მაუწყებელი) თანამშრომლების აქტივობა ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში (Facebook, Twitter, YouTube, Instagram, Google+ და სხვ.) გავლენას ახდენს მაუწყებლის რეპუტაციაზე, რადგან ორგანიზაციაში დასაქმებული ადამიანები ქმნიან მის საბოლოო პროდუქტს და, როგორც წესი, აუდიტორია მათ ორგანიზაციასთან აიგივებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მაუწყებლის თანამშრომლები ვალდებულნი არიან დაიცვან ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წინამდებარე წესები (შემდგომში – წესები).

II. ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წესები ვრცელდება მაუწყებლის თანამშრომლებზე, მიუხედავად მათი თანამდებობისა და სამუშაო ადგილმდებარეობისა.
წინამდებარე წესები არ ვრცელდება მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს წევრებზე – მრჩევლებზე. გარეწარმოების ფარგლებში სხვა მესამე პირებისთვის წესები რეგულირდება სპეციალურად შემუშავებული დებულებების, ან მათთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

III. ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წესებს ბრძანებით ამტკიცებს მაუწყებლის დირექტორი. წესები ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.

IV. წინამდებარე წესები წარმოადგენენ მაუწყებლის შინაგანაწესის და შესაბამისად თითოეული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. მაუწყებლის თანამშრომელთა მხრიდან წინამდებარე წესების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევი პირის მიმართ გამოყენებული იქნება მაუწყებლის შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური სანქცია.

წესი 1

ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში აქტივობისას თანამშრომლებმა უნდა დაიცვან მაუწყებლის მიერ დადგენილი სტანდარტები, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის და საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის მოთხოვნები.

წესი 2

თანამშრომლებს შეუძლიათ გააზიარონ პირად საიტებზე, ბლოგებსა, თუ სოციალურ ქსელებში მათ მიერ შექმნილი კონტენტი, მაგ. პირადი ფოტო, ვიდეო და ჩანაწერები, რომელიც არ ეკუთვნის მაუწყებელს, თუმცა ყველა გაზიარებული მასალა უნდა შეესაბამებოდეს მაუწყებლის ღირებულებებსა და პრინციპებს.

წესი 3

ინტერნეტიდან/სოციალური ქსელებიდან ფოტო, ვიდეო და სხვა მულტიმედიური მასალის გამოყენებისას, უნდა დადგინდეს, ვინ ფლობს შესაბამის (მათ შორის საავტორო) უფლებებს ამ მასალაზე და მიიღოთ თანხმობა მათ გამოყენებაზე. ციტატები, ფოტო და ვიდეომასალა, რაც ინტერნეტში/სოციალურ ქსელებშია, გადაუმოწმებლად არ უნდა მიეწეროს იმას, ვის პროფილზეც იყო ნანახი, ან ვის საინფორმაციო გვერდზეც იყო მოპოვებული.

წესი 4

თანამშრომლებს შეუძლიათ სთხოვონ სოციალური ქსელების მომხმარებლებს სოციალურ ქსელებში გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები ამა თუ იმ ინფორმაციის შესახებ, ასევე, ჟურნალისტებს შეუძლიათ უპასუხონ სოციალური მედიიდან დასმულ კითხვებს მათ მიერ გაშუქებული ამბების შესახებ. ამ პასუხის ფორმები უნდა შეესაბამებოდეს მაუწყებლის ღირებულებებს და პრინციპებს.

წესი 5

თუკი მაუწყებლის თანამშრომლისთვის ცნობილი ხდება, რომ ორგანიზაცია ინტერნეტში/სოციალურ ქსელში გააკრიტიკეს, მოიხსენიეს შეურაცხმყოფელი, შეუწყნარებელი და უხამსი ტერმინებით, ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

წესი 6

მაუწყებლის თანამშრომელს ინტერნეტში/სოციალურ ქსელში აქტივობისას ეკრძალება არანორმატიული ლექსიკის, სიძულვილის ენის, აკრძალული სიმბოლიკის გამოყენება, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, როდესაც აქტივობა ხორციელდება სხვა მესამე პირ(ებ)ის მხრიდან განხორციელებული შეურაცხმყოფელი კომენტარის ან/და არანორმატიული ლექსიკის გამოყენების საპასუხოდ.

წესი 7

ინტერნეტში/სოციალურ ქსელში თანამშრომლის მიერ შეცდომით დაწერილი ტექსტი მაქსიმალურად ოპერატიულად უნდა გასწორდეს. ასეთ შემთხვევაში უნდა იყოს განთავსებული შესაბამისი ტექსტი, რომელშიც მითითებული იქნება, რომ დაშვებული იყო ესა თუ ის შეცდომა/უზუსტობა/ხარვეზი.

წესი 8

მაუწყებლის თანამშრომლები თავის ანგარიშებზე იდენტიფიცირებულები უნდა იყვნენ, როგორც აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლები, ოფიციალურად დასაქმების (შრომითი ხელშეკრულების გაფორმების ან/და შესაბამისი აქტის ძალაში შესვლის) მომენტიდან.

თანამშრომლებმა არ უნდა გამოიყენონ სოციალური ქსელების მომხმარებლის სახელში აჭარის ტელევიზია და რადიო ან/და საზოგადოებრივი მაუწყებელი. პროფილზე არ უნდა იყოს განთავსებული მაუწყებლის ლოგო.

წესი 9

მაუწყებლის თანამშრომლებმა:

- თავი უნდა შეიკავონ პოლიტიკური პრეფერენციების საჯაროდ გამოხატვისგან და ყველა დადებითი, ან უარყოფითი განცხადებისგან, რომელსაც შეუძლია მათი მიუკერძოებლობის და ობიექტურობის ეჭვქვეშ დაყენება;
- არ უნდა აღნიშნონ პოლიტიკური მიკუთვნებულობა ინტერნეტში/სოციალურ ქსელში, ან პერსონალური ინფორმაციის ველში;
- არ უნდა გამოაქვეყნონ არც ერთი მასალა (მათ შორის, ფოტო და ა.შ.), სადაც გამოხატული იქნება პოლიტიკური შეხედულებები ან/და დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება რომელიმე პოლიტიკური პარტიის/პოლიტიკოსის, საზოგადოებრივი, რელიგიური გაერთიანების, არასამთავრობო სექტორის ან სხვა ინტერესთა ჯგუფების/ჯგუფის წევრ(ებ)ის მიმართ, რათა ყველა ამგვარი ჯგუფის წევრი გრძნობდეს, რომ მის მიმართ მაუწყებელი არის მიუკერძოებელი.

წესი 10

თანამშრომლებმა არ უნდა მოიწონონ ან/და გააზიარონ პოსტები, რომლებიც ეფუძნება გადაუმოწმებელ ინფორმაციას, შეიცავს სიძულვილის ენას,

არატოლერანტულ ლექსიკას, აკრძალულ სიმბოლიკას და ა.შ. თუმცა მათ შეუძლიათ ასეთ პოსტს გამოეხმაურონ დამატებითი ინფორმაციის მოპოვების მიზნით.

წესი 11

მაუწყებლის თანამშრომლების მიერ მოპოვებული ან/და დამზადებული მასალა, კონტენტი, თანამშრომლებმა შეიძლება გამოაქვეყნონ მას შემდეგ, რაც მათ გამოიყენებს მაუწყებელი. მაუწყებლის მიერ მის გამოყენებამდე, გამონაკლისის სახით, დასაშვებია მხოლოდ სამაუწყებლო პროგრამის, არხის, ან არხის მიერ გაწეული რაიმე კამპანიის პოპულარიზაციისთვის გამიზნული მასალის გამოქვეყნება მაუწყებლის მმართველი რგოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფარგლებში. მასალაზე მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული, რომ იგი ეკუთვნის მაუწყებელს.

წესი 12

ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში აქტივობისას დაუშვებელია მაუწყებლის/მისი საქმიანობის უსაფრთხოებასთან, იმიჯთან, კორპორატიულ პოლიტიკასთან საწარმოო და სამაუწყებლო პროცესთან, ასევე სამუშაო პროცედურებთან დაკავშირებული მასალის/ინფორმაციის გავრცელება.

წესი 13

მაუწყებლის თანამშრომლებს მოეთხოვებათ იყვნენ კოლეგიალურები და კორექტულები მაუწყებლის სხვა თანამშრომლების მისამართით.

წესი 14

თანამშრომლების მიერ ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაცია ზიანს არ უნდა აყენებდეს მაუწყებლის რეპუტაციას.

სოციალურ ქსელებში აქტივობისას მაუწყებლის თანამშრომლებმა უნდა დაიცვან შემდეგი რეკომენდაციები:

- **<u>გახსოვდეთ</u>**, რომ ის ინფორმაცია, რომელსაც თავდაპირველად შერჩეული აუდიტორიისთვის აქვეყნებთ, შეიძლება სხვებმა გააზიარონ და საჯარო გახადონ ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი/ფართო აუდიტორიისათვის.

- **<u>ყურადღებით იყავით</u>**, როდესაც ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში „გვერდებს“, პოსტებს, მოსაზრებებს, ან სხვა ინტერნეტ აქტივობებს იწონებთ, ეს ინფორმაცია საჯაროდ ჩანს. დაფიქრდით, თუ როგორ გამოჩნდება თქვენს მიერ რომელიმე გვერდის მოწონება საზოგადოების თვალში. გვერდების

მოწონება, გაზიარება, სხვადასხვა სიმბოლიკის გამოყენებით ასეთი კონტენტის მიმართ აქტივობა აზრის გამოხატვის საშუალებაა.

- **<u>შეამოწმეთ</u>** რა სახის და შინაარსის ინფორმაციას დებთ თქვენს „გვერდზე", ყოველთვის გახსოვდეთ, რომ **თქვენ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომელი ხართ**.